

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი  
განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა

**ნატო ასათიანი**

**ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი**

**განმაპირობებელი ფაქტორები**

**(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)**

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზია წერეთელი  
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი, თსუ

თბილისი

2020

## შინაარსი

აბსტრაქტი.....	i
შესავალი .....	1
თავი 1 - ბულინგის რაობა .....	5
1.1. რა არის ბულინგი - ტერმინის დაზუსტება.....	5
1.2 ბულინგის ფორმები და მასზე გავლენის მქონე ფაქტორები.....	7
1.3 ბულინგი ფსიქოლოგიური თეორიების ჭრილში.....	13
1.4 ბულინგში მონაწილე პირები და სომატური გამოვლინებები .....	26
1.5 კიბერბულინგი .....	33
1.6 სად ვლინდება და როგორ რეაგირებენ ბულინგის შემთხვევებზე სკოლების ადმინისტრაციები.....	36
1.7 ბულინგთან ბრძოლის კონკრეტული მექანიზმები სკოლებში .....	39
თავი 2 - სკოლის კულტურა და მისი მნიშვნელობა .....	46
2.1 Whole child approach და ყოვლისმომცველი სასკოლო სიჯანსაღის თეორიები.....	46
2.2 სკოლის კულტურა და მისი ელემენტები .....	53
2.3 სკოლებში მოსწავლეებისადმი სამართლიანი მიდგომის ხედვა .....	63
თავი 3 - გარემო და აგრესიული ქცევა .....	68
3.1 აგრესიული ქცევის განმარტება და დახასიათება .....	68
3.2 აგრესიის სახეები და გარემო, როგორც ამ ქცევის დეტერმინანტი .....	70
თავი 4 - ბულინგის გააზრება განწყობის ფსიქოლოგიის თეორიის მიხედვით.....	77
თავი 5 - კვლევის ძირითადი ჰიპოთეზები და მეთოდოლოგია .....	87
თავი 6 - კვლევის შედეგები.....	94
სასკოლო კულტურისა და ვიქტიმიზაციის აღწერითი შედეგები.....	117
თავი 7 - შეჯამება და დისკუსია .....	136
გამოყენებული ლიტერატურა .....	144
დანართები.....	154

<b>ცხრილი 1</b> - კვლევის მონაწილეთა განაწილება სქესის მიხედვით.....	101
<b>ცხრილი 2</b> - კვლევის მონაწილეთა განაწილება სკოლის ზომის მიხედვით.....	101
<b>ცხრილი 3</b> - კვლევის მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება.....	101
<b>ცხრილი 4</b> - კვლევის მონაწილეთა რეგიონული განაწილება.....	102
<b>ცხრილი 5</b> - ვიქტიმიზაციის პირველი რეგრესიული მოდელი.....	103
<b>ცხრილი 6</b> - ანოვას სტატისტიკა პირველი მოდელისთვის .....	103
<b>ცხრილი 7</b> - ვიქტიმიზაციის პირველი რეგრესიული მოდელის კოეფიციენტები.....	103
<b>ცხრილი 8</b> - ვიქტიმიზაციის პირველი რეგრესიული მოდელის პრედიქტორები.....	105
<b>ცხრილი 9</b> - ვიქტიმიზაციის პირველი რეგრესიული მოდელის პრედიქტორთა პროცენტული წილები.....	106
<b>ცხრილი 10</b> - კორელაცია სკოლის კულტურის ტიპებსა და აგრესიას შორის.....	109
<b>ცხრილი 11</b> - ვიქტიმიზაციის მეორე რეგრესიული მოდელი.....	109
<b>ცხრილი 12</b> - ანოვას სტატისტიკა მეორე მოდელისთვის.....	110
<b>ცხრილი 13</b> - ვიქტიმიზაციის მეორე რეგრესიული მოდელის კოეფიციენტები.....	110
<b>ცხრილი 14</b> - ვიქტიმიზაციის მესამე რეგრესიული მოდელი.....	111
<b>ცხრილი 15</b> - ანოვას სტატისტიკა მესამე მოდელისთვის .....	111
<b>ცხრილი 16</b> - ვიქტიმიზაციის მესამე რეგრესიული მოდელის კოეფიციენტები.....	111
<b>ცხრილი 17</b> - ვიქტიმიზაციის მეოთხე რეგრესიული მოდელი.....	113
<b>ცხრილი 18</b> - ანოვას სტატისტიკა მეოთხე მოდელისთვის.....	113
<b>ცხრილი 19</b> - ვიქტიმიზაციის მეოთხე რეგრესიული მოდელის კოეფიციენტები.....	113
<b>ცხრილი 20</b> - ვიქტიმიზაციის საბოლოო რეგრესიული მოდელი.....	114
<b>ცხრილი 21</b> - ანოვას სტატისტიკა საბოლოო მოდელისთვის .....	115
<b>ცხრილი 22</b> - ვიქტიმიზაციის საბოლოო რეგრესიული მოდელის კოეფიციენტები.....	115
<b>ცხრილი 23</b> - ვიქტიმიზაციის საბოლოო რეგრესიული მოდელის პრედიქტორთა პროცენტ. წილები.....	116
<b>ცხრილი 24</b> - სკოლის ზომის მიხედვით სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოები.....	125
<b>ცხრილი 25</b> - მშობელთა დასაქმების მიხედვით სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოები.....	130
<b>ცხრილი 26</b> - მოსწავლეთა ასაკის მიხედვით სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოები.....	134
<b>ცხრილი 27</b> - მოსწავლეთა სქესის მიხედვით სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოები.....	136
<b>ცხრილი 28</b> - რეგიონის მიხედვით სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და	

ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოები.....	138
<b>გრაფიკი 1</b> – „ვიქტიმიზაციის“ პრედიქტორთა პროცენტული წონები.....	123
<b>გრაფიკი 2</b> – „კეთილდღეობის“ საშუალოთა შორის განსხვავება სკოლის ზომის მიხედვით.....	127
<b>გრაფიკი 3</b> – „საფრთხის“ საშუალოთა შორის განსხვავება სკოლის ზომის მიხედვით.....	127
<b>გრაფიკი 4</b> – „თანასწორობის“ საშუალოთა შორის განსხვავება სკოლის ზომის მიხედვით.....	128
<b>გრაფიკი 5</b> – „განცალკევებულობის“ საშუალოთა შორის განსხვავება მშობელთა დასაქმების მიხედვით.....	130
<b>გრაფიკი 6</b> – „კეთილდღეობის“ საშუალოთა შორის განსხვავება მშობელთა დასაქმების მიხედვით.....	131
<b>გრაფიკი 7</b> – „ვიქტიმიზაციის“ საშუალოთა შორის განსხვავება მშობელთა დასაქმების მიხედვით.....	131
<b>გრაფიკი 8</b> – „განცალკევებულობის“ საშუალოთა შორის განსხვავება მოსწავლეთა ასაკის მიხედვით.....	134
<b>გრაფიკი 9</b> – „მაღალი საფრთხის“ საშუალოთა შორის განსხვავება მოსწავლეთა ასაკის მიხედვით.....	135
<b>გრაფიკი 10</b> – „თანასწორობის“ საშუალოთა შორის განსხვავება მოსწავლეთა ასაკის მიხედვით.....	135
<b>გრაფიკი 11</b> – „საფრთხის“ საშუალოთა შორის განსხვავება მოსწავლეთა სქესის მიხედვით.....	136
<b>გრაფიკი 12</b> – „ვიქტიმიზაციის“ საშუალოთა შორის განსხვავება მოსწავლეთა სქესის მიხედვით.....	137
<b>გრაფიკი 13</b> – „განცალკევებულობის“ საშუალოთა შორის განსხვავება რეგიონის მიხედვით.....	140
<b>გრაფიკი 14</b> – „კეთილდღეობის“ საშუალოთა შორის განსხვავება რეგიონის მიხედვით.....	140
<b>გრაფიკი 15</b> – „საფრთხის“ საშუალოთა შორის განსხვავება რეგიონის მიხედვით.....	141
<b>გრაფიკი 16</b> – „ვიქტიმიზაციის“ საშუალოთა შორის განსხვავება რეგიონის მიხედვით.....	141
<b>დიაგრამა 1</b> - ვიქტიმიზაციის ემპირიული და შეფასებული მნიშვნელობები რეგრესიული მოდელის მიხედვით .....	118

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ბულინგის ფენომენი სკოლის კულტურასა და აგრესიის ფაქტორებთან ერთად და აგვეგო მისი მოქმედების მექანიზმის ფსიქოლოგიური მოდელი. ამ მიზნით გავაანალიზეთ სფეროში არსებული თანამედროვე ლიტერატურა. საკითხის შესწავლა გადავწყვიტეთ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განწყობის თეორიაზე დაყრდნობით. განწყობის თეორიის მიხედვით, ნებისმიერი ფსიქიკური აქტივობის და ქცევის საფუძველია განწყობა, რომელიც სამი კომპონენტის ურთიერთქმედების შედეგად აღმოცენდება. ეს კომპონენტებია: მოთხოვნილების არსებობა, ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტის არსებობა და დამაკმაყოფილების ინსტრუმენტული შესაძლებლობების (პირობების) ქონა. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ბულინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმს, სწორედ, ასეთი დისპოზიციური განწყობები წარმოადგენს - გამოვთქვით მოსაზრება, რომ თუ სკოლის კულტურა იმგვარია, რომ არ იძლევა აგრესიის რეალიზების საშუალებას, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ კლასში ყოველთვის არის მოწყვლადი რისკ-ჯგუფები, ვერ მოხდება მათი ვიქტიმიზაცია.

ამრიგად, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ მიუხედავად აგრესიის დონისა, იმ სკოლებში, რომლებშიც კეთილსაიმედო სასკოლო კულტურაა, ვიქტიმიზაციის დონე იქნებოდა დაბალი, ხოლო იმ სკოლებში, რომლებშიც არაკეთილსაიმედო სასკოლო კულტურაა, პირიქით, ვიქტიმიზაციის მაღალი დონე დაფიქსირდებოდა.

ამ მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ სამი კითხვარი: აგრესიის დონე ვიკვლიეთ ბას-დარკის (Buss-Durkey Inventory) კითხვარით, სასკოლო გარემოს შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ ბოჩავერისა და თანაავტორების (Alexandra Bochaver) მიერ შემუშავებული კითხვარი, რომელიც კლასსა და სკოლაში არსებულ ემოციურ

ფონს სწავლობს და ვიქტიმიზაციის შესაფასებლად გამოვიყენეთ მაინორდისა და ჯოზეფის (H. Mynard, S. Joseph) კითხვარი. კვლევაში 13-დან 17 წლამდე ასაკის 1422-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ავაგეთ იერარქიულ-რეგრესიული მოდელი, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ ვიქტიმიზაციის 34%-ს ხსნის ჩვენი მოდელის ძირითადი ცვლადები. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო სივრცის ცვლადები და კლასში არსებული აგრესიის დონე (მათი კომბინაცია) ხსნის რეგრესიით გამოვლენილი მთლიანი ზეგავლენის (34%-ის) 73.02%-ს. ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ვიქტიმიზაციის სკალაზე, არის აგრესიისა და სკოლის კულტურის ტიპის - „საფრთხე“ კომბინირებული ცვლადი. ჩვენი კვლევით დავინახეთ, რომ მსხვერპლად გადაქცევის ალბათობა (ვიქტიმურობა) იმ მოზარდებშია მაღალი, რომლებიც სასკოლო გარემოში საფრთხეს გრძნობენ, ხოლო სკოლის ისეთი კულტურა, რომელიც ჯგუფში კომუნიკაციის წესების დაცვასა და ურთიერთპატივისცემაზეა ორიენტირებული (მოზარდს აქვს კეთილდღეობის განცდა), ამცირებს მოზარდების მსხვერპლად გახდომის ალბათობას.

ამრიგად, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნეგატიური სასკოლო გარემო აგრესიასთან კომბინაციაში წარმოადგენს ბულინგის გამაძლიერებელ პრედიქტორს, ხოლო კეთილსაიმედო - წარმოადგენს ვიქტიმიზაციის შემამცირებელ პრედიქტორს. იმავდროულად, კვლევამ გამოკვეთა სხვა ისეთი პრედიქტორები, რომლებიც არ უკავშირდება სასკოლო კულტურას. ეს არის მშობლების დასაქმების მაჩვენებელი, სკოლის კონტიგენტი და სხვა. კვლევის შემდგომი ანალიზის ფარგლებში გამოყენებული თითოეული ცვლადის მიხედვით შევაფასეთ სასკოლო კულტურის ტიპები და ვიქტიმიზაციის დონე, ვიკვლიეთ მათ შორის საშუალოთა სხვაობები, რამაც საინტერესო სურათი მოგვცა: კერძოდ, მშობელთა დასაქმების მაჩვენებელი (როცა არცერთი მშობელი არ მუშაობს, ან მხოლოდ დედაა დასაქმებული), აღმოჩნდა ვიქტიმიზაციის

მცირე, თუმცა სტატისტიკურად სანდო, პრედიქტორი. საინტერესო შედეგი მივიღეთ სკოლის კონტიგენტის თვალსაზრისით - აღმოჩნდა, რომ ისეთ სკოლებში, რომლებშიც 300-დან 800-მდე მოსწავლეა, მოზარდები ყველაზე კომფორტულად გრძნობენ თავს.

ვფიქრობთ, კვლევის ამ და სხვა საინტერესო მიგნებებს ექნება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზოგადი განათლების პოლიტიკის დაგეგმვას საქართველოში.

## შესავალი

ბულინგი მსოფლიოში მზარდი პრობლემაა. ბულინგის შემთხვევებს ვხვდებით ყველგან: სკოლაში, ქუჩაში, იმ სივრცეებში, სადაც მოზარდები იყრიან თავს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, ბულინგის, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის, ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა და იმის გაანალიზება, თუ რა შემთხვევები უბიძგებს მოზარდს აღნიშნული ქცევისაკენ.

ბულინგი აგრესიული ქცევის ქვეკატეგორიად მიიჩნევა, თუმცა ფიზიკურზე მეტად, ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებას გულისხმობს და, სტანდარტული აგრესიული ქცევისგან განსხვავებით, ის ხშირად მეორდება, პერმანენტულობა კი კიდევ უფრო ამძაფრებს მის შედეგებს. შესაბამისად, ბულინგი ყოველთვის მიზანმიმართული და განმეორებითი ხასიათისაა.

ბულინგის ფორმები და მასზე გავლენის მქონე ფაქტორები მრავალი კვლევის საგანია. საინტერესო დაკვირვებაა, რომ ფიზიკური და ვერბალური ბულინგის პარალელურად, მკვლევრებმა სოციალური ბულინგის ფორმაზე გაამახვილეს ყურადღება, რაც მას ნებისმიერი აგრესიული ქცევისგან განასხვავებს. ეს უკანასკნელი მოზარდის ჯგუფიდან გარიყვით ვლინდება და, უმეტესად, მათთვის ყველა სხვა ტიპის აგრესიულ ქცევაზე უფრო რთული გადასალახი ხდება.

სტატისტიკის გააზრება გვაფიქრებინებს, რომ ძნელად თუ მოიძებნებიან მოსწავლეები, რომლებიც ერთხელ მაინც არ ყოფილან ბულინგის მსხვერპლნი, ბულერები ან ამ პროცესში რაიმე ფორმით ჩართული პირები. ბულინგის არსის გააზრებისას მკვლევრები უმეტესად ოჯახის, თანატოლებისა და სკოლის როლზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც, თავის მხრივ, გვაფიქრებინებს, რომ გარემო განსაკუთრებულ როლს ასრულებს ბულინგის პრევენციის თვალსაზრისით - მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ კულტურას, თემს,

ტრადიციებსა თუ ღირებულებებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მოზარდების განვითარებაზე, და იმაზე, თუ რამდენად ხშირია ან იშვიათი იმ სოციუმსა და საზოგადოებაში აგრესიული ქცევა.

მეცნიერები ბევრს საუბრობენ მსხვერპლის, ბულერისა და ასისტენტების (დამხმარებისა თუ თანამონაწილეების) ფსიქოლოგიურ თავისებურებებზეც, რაც ჩვენი ნაშრომის ფარგლებშიც ვრცლად გვაქვს განხილული - სამივე შემთხვევაში აქცენტი ისმის გარემოზე, რომელიც, ერთი მხრივ, აგრესიულ მოზარდს აყალიბებს ბულერად და, მეორე მხრივ, შესაძლოა, მოზარდებისთვის მსხვერპლად გახდომის პრედიქტორად იქცეს.

შესაბამისად, რადგან დავინახეთ, რომ გარემოს დიდი წვლილი მიუძღვის ბულინგის განხორციელებასა თუ პრევენციაში, გადავწყვიტეთ, საკითხი სკოლის კულტურის დონეზე გვეკვლია და გვევარაუდა, რომ კეთილსაიმედო სკოლის კულტურის შემთხვევაში ნაკლები ალბათობა იქნებოდა ბულინგის განხორციელებისა, ვიდრე არაკეთილსაიმედო სასკოლო გარემოში. ამ თვალსაზრისით გავანალიზეთ სხვადასხვა სკოლის ადმინისტრაციების საერთაშორისო გამოცდილება და, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მართლაც, ისეთ სასკოლო გარემოში, სადაც ღირებულებებს მოზარდებს ხელოვნურად თავს არ ახვევენ, ისინი უფრო დაცულად გრძნობდნენ თავს და, შესაბამისად, ბულინგის შემთხვევებიც უფრო ნაკლებია.

სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები იმასაც ცხადყოფს, რომ ბულინგი მოსწავლის არა მხოლოდ ფიზიკურ თუ ემოციურ უსაფრთხოებას არღვევს, არამედ მთლიანად სწავლა-სწავლების პროცესზე ახდენს უარყოფით გავლენას, რადგან ბულინგში მონაწილე მოზარდებს და მით უფრო მსხვერპლს, როგორც წესი, აღენიშნებათ დაბალი აკადემიური მოსწრება და დაბალი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. შესაბამისად, ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბულინგის შემთხვევების არსებობა სკოლებში ხელს უშლის განათლების ერთ-ერთი

მთავარი პრინციპის რეალიზებას - მოსწავლეების ჰოლისტური განვითარების უზრუნველყოფას. დღეს ყველა თანხმდება, რომ განათლების მიზანი დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ცოდნის გადაცემას და გულისხმობს მოზარდის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, სამაგიდო კვლევის ფარგლებში ცხადად დავინახეთ, რომ ბულინგი მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო კუთხითაა შესწავლილი და გაანალიზებული. კვლევებში მრავალმხრივადაა აღწერილი ბულინგის შემთხვევები და მოცემულია მისი განხორციელების სხვადასხვა პირობა და ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ბულინგს არაერთი ფსიქოლოგიური თეორია საინტერესოდ ხსნის, ნათელია, რომ მისი მოქმედების მექანიზმი დამატებით გაანალიზებასა და შესწავლას საჭიროებს.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების მაგალითზე; ქცევისა და ფსიქიკური აქტივობის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით, აგვეგო ბულინგის მოქმედების ფსიქოლოგიური მოდელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო კვლევების ანალიზის საფუძველზე ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ცალსახად გამოკვეთილია ბულინგის სამი ძირითადი ფაქტორის მოქმედება. ეს ფაქტორებია: პიროვნული აგრესია, აგრესიის რეალიზებისთვის საჭირო ობიექტის (მსხვერპლის) არსებობა და გარემო / გარემოში არსებული შესაძლებლობები.

ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ: იმისათვის, რომ ბულინგი განხორციელდეს, უნდა არსებობდეს აგრესია (მოთხოვნილება), მსხვერპლი (მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი) და გარემო

(ინსტრუმენტული შესაძლებლობები). აღნიშნულ ფაქტორთა ურთიერთქმედებას კი კარგად ხსნის განწყობის თეორია და სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მოქმედების მექანიზმი განწყობის თეორიის გამოყენებით გვეკვლია.

ამგვარად, ჩვენი მოსაზრებების თანახმად, ბულინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმს დისპოზიციური განწყობები წარმოადგენს, რომლის რეალიზაციის ინსტრუმენტული შესაძლებლობები საკლასო კლიმატში უნდა ვეძებოთ. ამდენად, ჩვენი კვლევის ძირითადი ჰიპოთეზაა:

სასკოლო გარემოს რაგვარობა (აგრესიასთან ერთად) წარმოადგენს ბულინგის ქცევის შესრულების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს და თუ სკოლის კულტურა ისეთია, რომ არ იძლევა აგრესიის რეალიზების საშუალებას, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ კლასში ყოველთვისაა მოწყვლადი რისკ-ჯგუფები, ვერ მოხდება მათი ვიქტიმიზაცია.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩვენ მიერ განხორციელდა აგრესიის, სასკოლო კლიმატისა და ვიქტიმიზაციის ხარისხის ემპირიული კვლევა მოსწავლეებში.

სანამ უშუალოდ ჩვენი კვლევის აღწერასა და შედეგებზე გადავალთ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ბულინგის ცნება და მისი რაობა, ბულინგთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და შეხედულებები.

## თავი 1 - ბულინგის რაობა<sup>1</sup>

### 1.1. რა არის ბულინგი - ტერმინის დაზუსტება

ბულინგის, როგორც ტერმინის, მრავალი განმარტება არსებობს, თუმცა ყველას აერთიანებს აქცენტი ქცევის აგრესიულობაზე, რომელსაც ასრულებს ინდივიდი ან ადამიანთა ჯგუფი, აქვს განმეორებითი ხასიათი და რომლის დროსაც მსხვერპლს არ შეუძლია თავის დაცვა (Sticca, 2013). ამ განმარტებას საფუძვლად უდევს დინ ოლვეუსის კოზიცია, რომლის თანახმადაც, ბულინგი რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება: დამნაშავეს მოტივი მეორე ადამიანის წყენინება, დაჩაგვრა ან/და გულისტკენაა, ქცევა განმეორებადია და აღნიშნება ურთიერთობაში ძალის არათანაბარი გადანაწილება. ამასთან, გამოიყოფა სამი ტიპის ბულინგი - ფიზიკური, სიტყვიერი და ურთიერთობაში გამოვლენილი, როგორცაა, ძალადობის მსხვერპლზე არასწორი, დამაკნინებელი, პირადი ინფორმაციის გავრცელება ან მისი რაიმე ნიშნით გამორჩევა (Olweus, 1993).

ბულინგის კვლევა სათავეებს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს. მეცნიერი ასკიუ იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აგრესიის კვლევისას ბულინგი გამოყო და ამ ტერმინის განმარტება მოგვცა. მისი აზრით, ეს არის მოქმედება, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ქცევა ახასიათებს და რომლის მიზანია ძალაუფლების მოპოვება ან სხვაზე (სხვებზე) დომინანტობის დემონსტრირება (Askew, 1989). 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მეცნიერები ცდილობენ ბულინგის უფრო სიღრმისეულად შესწავლას და აღნიშნული ტერმინის დაზუსტებას, რომლის განმარტებისას წარმოჩნდება ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: ზიანის მიყენების მცდელობა, დამამცირებელი მეტსახელის

---

<sup>1</sup> პირველ თავში გაანალიზებული მასალა გამოყენებულია სტატიაში. ასათიანი, ნ., & წერეთელი, მ. (2020). ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და განმაპირობებელი ფაქტორები. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 107-117.

შერქმევა, სოციალური იზოლაციის მცდელობა, ფულის გამოძალვა და სხვა (Bowers, 1994) (Swearer S. M., 2015).

ბულინგის კვლევის ერთ-ერთი პიონერი, დინ ოვლეუსი ბულინგს აგრესიული ქცევის ქვეკატეგორიად მიიჩნევს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ბულინგი აგრესიულ ქცევაზე მეტია, რადგან მან შეიძლება, ფიზიკური აგრესიის პარალელურად ან ნაცვლად, ძლიერი ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენოს მოზარდს, რაც შესაძლოა, ფიზიკურ აგრესიაზე კიდევ უფრო რთული აღმოსაფხვრელი აღმოჩნდეს (Olweus, 1993). ამასთან, ყველა მეცნიერი თანხმდება, რომ ბულინგად აგრესიული ქცევა მხოლოდ მაშინ აღიქმება, თუ ის განმეორებითი ხასიათისაა.

ქცევის განმეორებითობაზე 1996 წელს მეცნიერმა ჰერბერტმაც გაამახვილა ყურადღება და თავის მხრივ განმარტა, რომ ბულინგი არის ქცევა, რომლის დროსაც ცუდად ექცევიან მოზარდს ან მოზარდთა ჯგუფს და ამ ქცევას აქვს პერმანენტული ხასიათი. მსხვერპლი კი, უმეტესად, გალიზიანებული, დათრგუნული და შეშინებულია (Herbert, 1996).

ამრიგად, ბულინგის მკვლევრები ტერმინის მრავალფეროვან განმარტებებს გვთავაზობენ, თუმცა 21-ე საუკუნეში ამ განმარტებათა საერთო მახასიათებლები, მეცნიერ კრის ლის მიხედვით, შემდეგია (Lee C. , 2004):

1. **მიზანმიმართულობა** - ბულინგის ქცევა უმეტესად წინასწარ განსაზღვრული და დაგეგმილია;
2. **ტკივილის მიყენება** - ქცევის შედეგი არის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა, სტრესი;
3. **განმეორებითობა** - ბულინგის ქცევა, აგრესიული ქცევისგან განსხვავებით, განმეორებითი ხასიათისაა;

4. **ხანგრძლივობა** - ბულინგის ქცევა ყოველთვის ხანგრძლივია და ის შესაძლოა, მოიცავდეს რამდენიმე კვირას, თვესა და წელსაც კი.

5. **ძალის დემონსტრირება** - ბულინგის ქცევაში ყოველთვის ძალის გამოვლინებას ვაწყდებით.

ტექსასის უნივერსიტეტის მკვლევარი, იდეან ეტეკალი, ყურადღებას ამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ სკოლის მოსწავლეებმა ღიად ილაპარაკონ ამ თემაზე. მისი აზრით, საჭიროა ბავშვებმა უფროსებთან ერთად ისაუბრონ, იდებატონ, ჩაერთონ სხვადასხვა დისკუსიაში, რომლებიც ეხება ბულინგს და მის პრევენციას. თუმცა, როგორც წესი, ეს არ არის მარტივად შესასრულებელი, რადგან პირდაპირმა საუბარმა ბულინგზე შეიძლება, უფრო გარიყოს მოსწავლე, ადარ გაუჩნდეს სურვილი, ჩაერთოს დიალოგში ანდა იყოს გულწრფელი. ამიტომ მკვლევარი სკოლის ადმინისტრაციას ურჩევს პატარა, მოგონილი სცენარების გათამაშებით შეიყვანოს მოსწავლეები დებატების სივრცეში და ასაუბროს ბულინგზე (Ettekal, 2020).

## 1.2 ბულინგის ფორმები და მასზე გავლენის მქონე ფაქტორები

ბულინგის შემთხვევებზე და ზოგადად, ბულინგზე, როგორც ქცევაზე, საუბრისას, აუცილებელია, დეტალურად აღვწეროთ მისი ფორმები. მეცნიერები ბულინგის სამ ტიპს გამოყოფენ. მასაჩუსეტის ტექნოლოგიების ინსტიტუტის (MIT) პროფესორის - ჯინგ ვანგის განმარტებით, ბულინგის პირველი ტიპია **ფიზიკური ბულინგი**, რომელიც გამოიხატება ფიზიკურ აგრესიაში, საკუთრების ხელყოფაში, ნივთების განადგურებაში. შემდეგი ფორმაა **ვერბალური ბულინგი** - ეს ბულინგის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა და, როგორც წესი, მოძალადე ბულინგის ამ ფორმას იმ შემთხვევაში ირჩევს, თუ მსხვერპლის დამცირებას აუდიტორია ესწრება.

ვერბალური ბულინგის შემთხვევებია მეტსახელის, მათ შორის, შეურაცხმყოფელი სახელის, დარქმევა, დაცინვა, აბუჩად აგდება. ვერბალური ბულინგი ხშირია ისეთ შემთხვევებში, როცა აღნიშნება ფიზიკური ნაკლი, განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია და სხვა ე.წ. „ნორმიდან“ გადახრა (Wang, 2009). ბულინგის მესამე ფორმა კი **სოციალური ბულინგია**, რომელიც ადამიანის ჯგუფიდან გარიყვით ვლინდება. ვანგი განმარტავს: მოზარდმა შეიძლება სულ არ იცოდეს, რომ ის სოციალური ბულინგის მსხვერპლია და მხოლოდ მაშინ გაიაზროს ეს, როცა იმ კონკრეტულ ჯგუფში შეღწევას შეეცდება, საიდანაც ის გარიყული აღმოჩნდება (Wang, 2009).

ბულინგის ყველა ზემოთ აღნიშნული ფორმა ერთნაირად რთული გადასალახია მოზარდთა უმრავლესობისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ტიპის აგრესიული ქმედება, როგორებიცაა, მეტსახელის შერქმევა, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოხატვა, ფულის გამოძალვა, იზოლირება, პირადი ნივთების მითვისება, ხელის ჩართყმა (ხელის გაკვრა) მხოლოდ იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება ბულინგად და არა მხოლოდ აგრესიულ ქცევად, როცა ამ ქმედებებს აქვს განმეორებითი ან/და სისტემატური ხასიათი (Rosen, 2017). ჰუანგის (Huang, 2015) მიხედვით, არსებობს ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც ართულებს ბულინგის შესწავლას. ესენია: კვლევაში მონაწილეთაგან ბულინგის დეფინიციის არაერთგვაროვანი გაგება, საკითხის სენსიტიურობა, რესპონდენტთაგან პირდაპირ შეკითხვებზე თავის არიდება და ბულინგის ქცევის სისტემატურობის ფარდობითი გაგება. აღნიშნული სირთულეების გადასალახად ნაშრომის ავტორი გვთავაზობს, ყველა გამოკითხვას ახლდეს ტერმინის შეჯერებული განმარტება, რათა კვლევამ უფრო ზუსტი შედეგები გვიჩვენოს. გარდა ამისა, საყურადღებოა, როგორ უნდა გამოვიკვლიოთ ბულინგის შემთხვევები? განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკითხვაში

აქცენტების დასმის საკითხი, რომელიც ხშირად განსაზღვრავს კვლევაში რესპონდენტის გულწრფელობის ხარისხს. მართებულია თუ არა კითხვის შემდეგნაირად დასმა: „ყოფილხართ თუ არა ბულინგის მსხვერპლი?“, თუ უმჯობესია, შეკითხვაში აქცენტი არა „მსხვერპლზე“, არამედ ქცევაზე დაისვას: „სხვა ადამიანის ქმედების შედეგად გიგრძნიათ თუ არა თავი დამცირებულად/შეურაცხყოფილად?“ ჰუანგი განმარტავს, რომ რიგ შემთხვევებში ქცევის განმსაზღვრელი კითხვები უფრო ინფორმაციულია (Huang F. &, 2015).

როგორც აღვნიშნეთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქცევის სისტემატურობაა. საინტერესოა, განვსაზღვროთ, რამდენჯერ უნდა განმეორდეს ერთი და იგივე ქცევა, რომ ჩვენ მას ბულინგი ვუწოდოთ? მკვლევრებმა - კუბისცევსკიმ, ფონტეინმა, პოტარდმა და აუზოლტმა (Kubiszewski, at al, 2015) შეისწავლეს ბულინგის შემთხვევები და პერიოდულობასთან დაკავშირებით თავიანთი ხედვა წარმოგვიდგინეს. მათი აზრით, ბულინგის დროს მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მოძალადისა და მსხვერპლის იდენტიფიკაცია, როცა, მათივე განმარტებით, ამ ქცევაში რამდენჯერმე მონაწილეობდნენ.

ბულინგის მსხვერპლთა ანალიზმა გამოავლინა, რომ ისინი, როგორც წესი, განიცდიან დეპრესიას, გაღიზიანებას, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემებსა და დაბალ თვითშეფასებას (Chang, 2013). ასევე, კვლევებმა აჩვენა, რომ როგორც ბულერებს, ისე ბულინგის მსხვერპლთ, ჰქონდათ დაბალი აკადემიური მოსწრება და ახასიათებდათ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა (Kowalski, 2013).

რომ გავიგოთ, რა უდევს საფუძვლად ბულინგის წარმოშობას მოზარდებში ან რა არის მისი არსი, სასურველია, რამდენიმე კითხვას ვუპასუხოთ. საინტერესოა, რა ხდება მოზარდის გონებაში მას შემდეგ, რაც ის ბულინგის მსხვერპლი

გახდება; როგორია თვითმხილველების ქცევა; როგორც წესი, რატომ არ საუბრობენ თვითმხილველები ბულინგის შემთხვევებზე და, ზოგადად, როგორია მოზარდების აზრი ბულინგთან დაკავშირებით. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სცადა მკვლევარმა ქინგ ლიმ. 5 სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ კვლევაში, რომელშიც საგულისხმო ტენდენციები გამოიკვეთა. გამოკითხულთა 40%-მა აღიარა, რომ, თუ ისინი გახდებოდნენ ბულინგის / კიბერბულინგის მსხვერპლნი, არაფერს მოიმოქმედებდნენ თავის დასაცავად. მხოლოდ 10-დან ერთი მოსწავლე ამბობდა, რომ ის თავს გადახდენილი უსიამოვნების შესახებ უფროსებს შეატყობინებდა (Li, 2010). აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახმა და სკოლამ უფრო მეტად უნდა იმუშაონ იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვებისგან მეტი ინფორმაცია მოიპოვონ. გატარებული პრევენციული ზომები კი, რა თქმა უნდა, თავისთავად შეამცირებს ბულინგის ალბათობას.

ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორი, სიუზან სვეარერი, სტატიაში „ბულინგის ფსიქოლოგიის გაგება“, ბულინგის ბუნების უკეთ გააზრებისთვის გვთავაზობს ოჯახის, თანატოლების, სკოლის, კულტურის/თემის როლის სიღრმისეულ კვლევასა და გააზრებას (Swearer, 2015).

განვიხილოთ ეს საკითხები:

*ოჯახის გავლენა:* კვლევის მიხედვით, ოჯახში არსებული თავისებურებები ხშირად არის მოზარდის მიერ ძალადობრივი ქცევის წინაპირობა. ძალადობა ოჯახში, მშობლების ნაკლები ჩართულობა მოზარდების ცხოვრებაში და მათი მხრიდან ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობა მეცნიერებს მოზარდებში ძალადობრივი ქცევის ან საკუთარი თავის ვიქტიმიზაციის მაპროვოცირებლად მიაჩნიათ (Swearer S. M., 2015).

*თანატოლების გავლენა:* ბულინგი, როგორც წესი, თანატოლებს შორის გვხვდება. მოზარდები კი, ცხადია, დიდ დროს ატარებენ თანატოლების

გარემოცვაში, იქნება ეს უშუალო ურთიერთობის თუ სოციალური მედიის საშუალებით. სკოლებში ბულინგის შემთხვევების კვლევისას დიდი ყურადღება ეთმობა ე. წ. დამკვირვებლების / მოწმეების (Bystanders) ფსიქოლოგიის საკითხებს. გამოკითხვის თანახმად, საშუალოდ ყოველი მეორე მოზარდია შემსწრე ბულინგის, რა დროსაც დამკვირვებლები ახალისებენ და ზოგჯერ აქტიურად ერთვებიან კიდევ სხვა თანატოლებისადმი ჩადენილ ძალადობაში. აღსანიშნავია, რომ შემთხვევების მხოლოდ 25%-ში ე. წ. დამკვირვებლები წინ აღუდგნენ და შეეცადნენ, შეეჩერებინათ ძალადობა, გამოკითხულთა 54% კი პასიურ როლს ირგებდა და ძალადობას შორიდან უყურებდა (O'Connell, 1999).

არსებობს კვლევები, რომლებშიც დამკვირვებლების ქცევა გენდერულ ჭრილშია განხილული. გამოიკვეთა, რომ ძალადობის შემსწრე მოზარდებიდან გოგონები უფრო ხშირად აპროტესტებენ მსხვერპლის ჩაგვრას, ვიდრე - ბიჭები (Salmivalli, 2001). ამასთან, 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ბიჭები უფრო ხშირად არიან ჩართულნი ბულინგის შემთხვევებში, ვიდრე გოგონები, თუმცა ბიჭებისთვის მეტადაა დამახასიათებელი ფიზიკურ ბულინგში მონაწილეობა, გოგონებისთვის კი - ვერბალურში (Menesini & Salmivalli, 2017). მკვლევარი ანიტა ვულფორკი ასევე აღნიშნავს, რომ ბიჭები უფრო ხშირად მიმართავენ ღია აგრესიას, ვიდრე გოგონები. გოგონებს კი უფრო მეტად ახასიათებთ აგრესია საზოგადოებრივ ურთიერთობებში (ვულფორკი, 2009).

სხვადასხვა დროს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ასაკთან ერთად დამკვირვებლები ნაკლებად ერთვებიან კონფლიქტში და ნაკლებად იცავენ ჩაგრულებს, ხოლო ვინც ერთვება კონფლიქტში და იცავს მსხვერპლს, უმეტესად მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელია (Salmivalli, 2001). ამავე მკვლევრის აზრით, კონფლიქტში ჩარევა და სუსტის დაცვა მოზარდებს მეტ თავდაჯერებას სძენთ.

*სკოლის გავლენა:* ბულინგი ყველაზე აქტიურად სკოლის გარემოშია ნაკვლევით და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლაში არსებული პოზიტიური თუ ნეგატიური კლიმატი ბულინგის შემთხვევებს პირდაპირ უკავშირდება. მეცნიერ ბრაიან გენდრონის (Gendron B, 2011) კვლევებში ჩანს, რომ მასწავლებლების მხრიდან ძალადობაზე არაადეკვატური რეაგირება, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული არაჯანსაღი ურთიერთობა, მოსწავლეების სასკოლო აქტივობებში დაბალი ჩართულობა ხშირად არის ბულინგისა და ძალადობრივი ქცევის განმაპირობებელი. ამასთან, როცა სკოლაში ნეგატიური კლიმატია, მოსწავლეები იშვიათად ატყობინებენ მასწავლებელს ან/და სკოლის ადმინისტრაციას ჩაგვრის ფაქტების შესახებ (Unnever, 2004).

ამრიგად, გენდრონისა და უნვერის სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არაკეთილგანწყობილი გარემო სკოლებში ხელს უწყობს ბულინგის შემთხვევების ზრდას ისევე, როგორც ძალადობის ხშირი ფაქტები სკოლებში ჯანსაღი გარემოს არსებობის შესაძლებლობას ამცირებს (Gendron B, 2011) (Unnever, 2004).

*კულტურის/თემის გავლენა:* ოჯახის, თანატოლებისა და სკოლის გარდა, მოზარდების ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემო და საზოგადოება, რომელშიც ის ცხოვრობს (Ferguson, 2012).

მკვლევარი ფერგიუსონი ბულინგის მაპროვოცირებელ გარემოზე საუბრისას აქცენტს ტელევიზიასა და კომპიუტერულ თამაშებზეც სვამს, რაც, მისი ვარაუდით, ზრდის აგრესიული ქცევის შემთხვევებს მოზარდებში (Ferguson, 2012).

საინტერესო დაკვირვებაა, რომ ბულინგის აღქმა სრულიად განსხვავებული აქვთ მასში მონაწილე პირებს. კერძოდ, ბულინგის ერთსა და იმავე შემთხვევას სრულიად განსხვავებულად ახასიათებენ მასწავლებლები, მშობლები და მასში

მონაწილე მოსწავლეები (Postigo, Gonzalez, Montoya, & Ordonez, 2013). სწორედ ამიტომ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება და, მეორე მხრივ, ბულინგის განხილვა სხვადასხვა თეორიის მეშვეობით.

### 1.3 ბულინგი ფსიქოლოგიური თეორიების ქრილში<sup>2</sup>

ბულინგი მრავალი თეორიის თვალსაზრისითაა შესწავლილი, რაც საშუალებას გვაძლევს, ეს ქცევა სხვადასხვა ასპექტით გავიაზროთ. ერთ-ერთი თეორია, რომელიც ხსნის ბულინგის თავისებურებებს, **სოციალური დასწავლის თეორია (Social Learning Theory)**, რომლის თანახმად, ბავშვები მოდელირებისა და გამეორების (სხვებზე დაკვირვების) ხარჯზე სწავლობენ ქცევას. თუ ისინი აგრესიული, ანტი-სოციალური ქცევის თვითმხილველნი არიან, დიდი ალბათობით, იმავე ქცევის მოდელირებას განახორციელებენ (Mishna, 2012). ალბერტ ბანდურას თეორია აგრესიას სოციალურ ქცევად განიხილავს, რომლის როგორც ათვისება, ისე მხარდაჭერა სწორედ გარემოში ხდება. მის მიერ ჩატარებული კვლევებიც ცხადყოფს, რომ გარემო ხშირად ახდენს აგრესიული ქცევის პროვოცირებას. ამ თვალსაზრისით ალბერტ ბანდურას არაერთი ექსპერიმენტი ეკუთვნის, მათ შორის კი გამორჩეული „თოჯინა ბობოს“ ექსპერიმენტია. კვლევაში მონაწილეობდნენ ბავშვები, რომლებსაც აჩვენებდნენ თოჯინა ბობოზე ძალადობის ამსახველ ვიდეოს. ვიდეოს შემდეგ ბავშვებს სთავაზობდნენ სათამაშოებით თამაშს. თამაშისას ბავშვები ვიდეოში ნანახ აგრესიულ ქცევას იმეორებდნენ (Bandura A. , 1978. )

<sup>2</sup> ქვეთავში გაანალიზებული მასალა გამოყენებულია სტატიაში. ასათიანი, ნ., & წერეთელი, მ. (2020) ბულინგი ფსიქოლოგიური თეორიების ქრილში. *ქესე განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია*, ID: 3375

ბულინგის მკვლევრები ქცევის გააზრებისთვის იძულებითი განვითარების თეორიასაც (Coercion Theory) გვთავაზობენ, რომელიც ხაზგასმით წარმოაჩენს მშობლების როლს და მეორეხარისხოვანს ხდის გარემოს თუ მოზარდების განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებს. გერალდ პატერსონის აზრით, მშობლებსა და შვილებს შორის დამყარებული ურთიერთობა წარმოადგენს ბულინგის რისკფაქტორს ან ანტიპრედიქტორს (Granic & Patterson, 2006). თეორიის თანახმად, აგრესიული ქცევის წინაპირობა ის ოჯახური ურთიერთობებია, რომლებიც ყალიბდება მოზარდის ირგვლივ. როცა ბავშვის დამორჩილება ან პროსოციალური ქცევის წახალისება რთულია, მშობელი ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას მიმართავს და იძულების გზით ცდილობს ბავშვში სასურველი ქცევის გამოწვევას. შედეგად კი სწორედ იძულება ხდება მოზარდისთვის ურთიერთობებში წამყვანი სტრატეგია, რომელსაც ის სახლის მიღმაც იყენებს (Mishna, 2012).

ბულინგის ქცევის ახსნას განვითარების თეორიით (Developmental Theory) გვთავაზობს მკვლევარი კენ რიგბი, რომლის თანახმადაც, ბავშვში სოციალური დომინანტობის მოპოვების სურვილი ადრეული ასაკიდან იჩენს თავს და სწორედ ამ მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ის ჯერ ფიზიკური ძალადობის ფორმას მიმართავს, გამოცდილების შეძენის შემდეგ კი უფრო მეტ გზას ნახულობს სხვებზე დომინანტობის და აგრესიის გამოვლენის ვერბალური თუ სოციალური ფორმების გამოყენებას იწყებს (Rigby K. , 2003) (Hawley, 1999). შესაბამისად, განვითარების თეორიის თანახმად, ფიზიკური ბულინგი უფრო ხშირია მოზარდების განვითარების ადრეულ ეტაპზე, ვიდრე შემდგომ პერიოდში, როცა ისინი სხვაგვარადაც სწავლობენ დომინანტობის გამოვლენას. განვითარების თეორია გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური განვითარებით თუ პიროვნული თვისებებით კარგად აიხსნება ბულინგის შემთხვევები. მკვლევარი რიგბი საგანგებოდ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მსხვერპლი ხშირად

ხასიათდება ინტროვერტული ბუნებით თუ დაბალი თვითშეფასებით, ბულერებს კი ემპათიის დეფიციტი აღენიშნებათ (Rigby K. , 2003).

**კოგნიტურ-ბიჰევიორული თეორიის** თანახმად, ინდივიდის ქცევა უმეტესად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამს ის გარემოს და როგორ ინტერპრეტაციას უკეთებს სხვადასხვა სიტუაციას (Gegehr, 2001). გარემოს შეფასება ინდივიდის რწმენებსა და დამოკიდებულებებს ეფუძნება, რაც ხდება ემოციებისა თუ ქცევების მთავარი დეტერმინანტი (Mishna, 2012).

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ხშირად ის მოზარდები ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი, რომლებსაც არ აქვთ განვითარებული სოციალური უნარები. **სოციალური უნარების დეფიციტის მოდელის** (Social Skills Deficit Model) თანახმად, ე.წ. სოციალური ბულინგის მონაწილეები, ხშირად ხდებიან ისეთი მოზარდები, რომლებსაც უჭირთ სოციალურად მისაღები ქცევის განხორციელება, ან თანატოლებთან პოზიტიური ინტერაქციის დამყარება. ისინი მარტივად შეიძლება იქცნენ, როგორც მოძალადეებად, ისე მსხვერპლებად. მკვლევრების აზრით, როცა მოზარდს აქვს დანაკლისი იმ უნარების, რომლებიც მას პოზიტიურ ურთიერთობას ჩამოუყალიბებს თანატოლებთან, ის იწყებს ფიქრს, რომ სწორედ ბულინგია გზა, რომლითაც ის დასახულ მიზანს მიაღწევს (Mishna, 2012).

კიდევ ერთი თეორია, რომელიც სოციალური უნარების მნიშვნელობას წარმოაჩენს, **გონების თეორიაა** (Theory of Mind): ადამიანებს აქვთ სოციალურ-კოგნიტური უნარი, გაიაზრონ როგორც საკუთარი, ისე გარშემომყოფთა ემოციური მდგომარეობა. ეს პირდაპირაა დაკავშირებული სოციალურ ურთიერთობებთან და სწორედ ამიტომ ამ უნარის დეფიციტმა შესაძლოა, მოზარდს ასოციალური ქცევებისკენ უბიძგოს (Arsenio & Lemerise, 2002).

ბულინგის ქცევა **ცხოვრების წესის ზემოქმედების თეორიითაც** (Lifestyle exposure theory) აიხსნება, რომლის თანახმადაც, ბულინგის შემთხვევებში

მონაწილეობას ხელს უწყობს ინდივიდის ცხოვრების წესი. როცა მოზარდი, ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, მჭიდროდაა დაკავშირებული საფრთხილო ადგილებთან, აქტივობებთან თუ საექვო ადამიანებთან, ცხადია, ეს გარემოება და მისი ცხოვრების წესი შეუქმნის მას სერიოზულ რისკს, ჩართული იყოს ბულინგის ქცევაში (Mishna, 2012). ეს კავშირი უმეტესად 4 გარემოებით მყარდება: ა. სამეზობლოთი თუ უბნით, სადაც მოზარდი ცხოვრობს; ბ. ისეთი ადგილების სტუმრობით, სადაც პოტენციური კანონდამრღვევები არიან; გ. მოზარდის ინტერესით კანონის დამრღვევი პირების ცხოვრების წესისა თუ ხასიათის თვისებებისადმი; დ. მოზარდის ოჯახისგან და ახლობლებისგან შორს ცხოვრებით, რომლებსაც მისი დაცვა ან მასზე მზრუნველობა შეუძლიათ (Slovak & Singer, 2001).

ბულინგის შემთხვევების პრევენციის თვალსაზრისით, ხშირად გამოიყენება ე.წ. **რეზილიენტობის თეორია** (Resiliency Theory), რომლის დახმარებითაც მკვლევრებმა დაადგინეს, ერთი და იმავე რისკის დროს რატომ შეუძლია ზოგ მოზარდს, თავი დააღწიოს ბულინგში მონაწილეობას, და რატომ არ შეუძლიათ სხვა მოზარდებს, წინააღმდეგობა გაუწიონ ბულერს (Mishna, 2012). საქმე ისაა, რომ ადამიანები განსხვავდებიან სტრესმედეგობის მიხედვით. ამ მიდგომით კარგად აიხსნება მსხვერპლის ფსიქოლოგია და მარტივად იგება მისი მხარდაჭერის მექანიზმები.

მკვლევრები შეეცადნენ, ბულერის ფსიქოლოგია **დომინანტობის თეორიითაც** (Dominance Theory) აეხსნათ, რომლის თანახმადაც, მოზარდები თანატოლებთან ძალადობას მაშინ მიმართავენ, როცა სურთ, ჯგუფის იერარქიაში სასურველი პოზიცია დაიკავონ და ამ ჯგუფის წევრებს თავიანთი დომინანტობა აჩვენონ (Long & Pellegrini, 2003). დომინანტობის თეორიის თანახმად, ბულინგი სტრატეგიაა, რომლითაც მოზარდი კარგად აჩვენებს თავის უპირატესობას. მკვლევრების - პელეგრინისა და ბარტინის დაკვირვებით, ის მოზარდი ბიჭები,

რომლებიც საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებისთვის სხვა სტრატეგიებთან ერთად აგრესიასაც მიმართავენ, თანატოლ ბიჭებში უფრო დაფასებულნი არიან, გოგონების თვალში კი - მეტად მომხიბვლელნი (Pellegrini & Bartini, 2001).

ამრიგად, დომინანტობის თეორია ხაზგასმით აღნიშნავს, მოზარდები იმიტომ ახორციელებენ ბულინგის ქცევას, რომ მოიპოვონ როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე სოციალური დომინანტობა ან/და შეინარჩუნონ სოციალური სტატუსი მუდმივი ძალადობის გზით.

თეორიების ნაწილი ბულინგის შესწავლისას მოზარდების განვითარების დონეზეც ამახვილებს ყურადღებას. კოგნიტური და სოციალური უნარები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბულინგის ქცევის განხორციელებაში ან შეფერხებაში. შესაბამისად, განვითარების ფაქტორი არა მხოლოდ მოსწავლეების დონეზე, არამედ მთლიანად სკოლის, თემისა და იმ სოციუმის დონეზე უნდა გავიაზროთ, რომელშიც მოზარდი იზრდება (Mishna, 2012). ამ თვალსაზრისით ღირებულია ური ბრონფენბრენერის ეკოლოგიურ სისტემათა თეორია. თეორიის მიხედვით, მოსწავლეების პრობლემების თუ შესაძლებლობების ანალიზისას აქცენტი ისმის არა მხოლოდ მოსწავლის ლოკალურ სივრცეზე ან კონკრეტულად სასკოლო კლიმატზე, არამედ მთლიანად იმ სოციო-ეკოლოგიურ გარემოზე, რომელშიც მოსწავლე ცხოვრობს და რომელიც მის განვითარებაზე აისახება (Bronfenbrenner U. , 1979). შესაბამისად, მოზარდის ქცევის კვლევაში მნიშვნელოვნად გვეხმარება ეკოლოგიურ სისტემათა თეორია, რომელსაც მკვლევარი გრეის კრაიგი „ყველაზე დიდი გავლენის მქონე თეორიას უწოდებს, რაც კი ადამიანის განვითარების თაობაზე ოდესმე შექმნილა“ (Craig G. J., 2001).

ბრონფენბრენერის აზრით, ბავშვის განვითარების ეკოლოგიური სისტემა შედგება ხუთი სისტემისგან, რომლებიც თითქოსდა ერთმანეთშია

მოთავსებული: მიკროსისტემა (Micro System) - ბავშვის ოჯახი; მეზოსისტემა (Mesosystem) - საბავშვო ბაღი, სკოლა, ეზო, უბანი, სადაც იზრდება; ექზოსისტემა (Exosystem) - ზრდასრულთა სოციალური ორგანიზაციები; მაკროსისტემა (Macrosystem) - ქვეყნის კულტურული ტრადიციები, ფასეულობები, წეს-ჩვეულებები და რესურსები. ქრონოსისტემა (Chronosystem) - სოციო-ისტორიული კონტექსტი, რაშიც მოზარდს უწევს ცხოვრება.

მოდელი სრულად აღწერს ბავშვის გარემოს. ავტორი ისეთ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც არა მხოლოდ პირდაპირ ზემოქმედებს ბავშვის განვითარებაზე, არამედ ირიბადაც დიდ გავლენას ახდენს მასზე (Bronfenbrenner U. , 1979) (Shelton L. G., 2019). მაგალითად, დედის მოქნილი გრაფიკი სამსახურში, რომელიც საშუალებას აძლევს ქალს, მეტი დრო დაუთმოს ბავშვის აღზრდას, ირიბად ახდენს პოზიტიურ გავლენას ბავშვის განვითარებაზე. იმავდროულად, დედის მიერ საკუთარი დროის განკარგვის შესაძლებლობის შეგრძნება ხელს უწყობს მისი სულიერი წონასწორობის შენარჩუნებას და ეს, თავის მხრივ, ირიბად აისახება დედის შრომისუნარიანობის ზრდაზე.

ბრონფენბრენერი აღნიშნავს, რომ ეკოლოგიური სისტემები მოძრავი სისტემებია და დროთა განმავლობაში იცვლება. უმცროსი დის/ძმის დაბადება, სკოლაში სწავლების დაწყება ან მშობლების განქორწინება ცვლის ბავშვის ურთიერთობას გარემოსთან. ახალი ჩვილის დაბადებას სრულებით განსხვავებული გავლენა აქვს ბავშვზე, რომელიც ეს-ესაა სწავლობს სიარულს, ვიდრე ბავშვზე, რომელიც უკვე სკოლის მოსწავლეა და აქვს უამრავი ურთიერთობა და ინტერესები ოჯახის გარეთ (Bronfenbrenner U. , 1979)

საინტერესოა, უფრო დეტალურად გავიაზროთ, რა გავლენას ახდენს ეკოლოგიური სისტემის ქვესისტემები ბავშვის განვითარებასა და სასკოლო ცხოვრებაზე:

**მიკროსისტემა:** ბრონფენბრენერის მიხედვით, ბავშვის პიროვნებას აყალიბებს ოჯახი, მშობლის შეხედულებები და ატმოსფერო, რომელიც მის ირგვლივ სუფევს და რომელსაც ბავშვი პირდაპირ ეხება. ეს არის პირველი შრე, რომელიც გარს ახვევია ბავშვს და სადაც ის სწავლობს ურთიერთობებს, ინტერპერსონალურ ინტერაქციებს. ამ გარემოში იგულისხმება ოჯახსა და სკოლაში დამყარებული ურთიერთობები, რომლებიც უმეტესად პირდაპირი ხასიათისაა.

**მეზოსისტემა:** მიკროსისტემის გააზრების შემდეგ აუცილებელია მეზოსისტემა განვიხილოთ, რომელსაც ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს: ბავშვის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მიკროსისტემის შემადგენელი ნაწილები, არამედ ის, თუ რა კავშირი აქვთ და როგორ იკვეთებიან ეს ნაწილები ერთმანეთთან. მეზოსისტემის დონეზე სწორედ ეს კავშირებია მნიშვნელოვანი, რადგან მიკროსისტემის ნაწილები დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებს. ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

**ეკოსისტემა:** ზრდასრულთა სოციალური ურთიერთობები ირიბად ახდენს გავლენას ბავშვების განვითარებაზე. მშობლების სამუშაო ადგილი, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ხელფასიანი შვებულებები, მშობლების შვებულება ბავშვების ავადმყოფობის გამო - ეს არის ის, რაც მშობლების ცხოვრებაში ხდება და რაც ყოველთვის ჰპოვებს ასახვას ბავშვების განვითარებაზე.

**მაკროსისტემა** - ავტორი მაკროსისტემაში აერთიანებს კულტურულ ტრადიციებს, ფასეულობებს, წეს-ჩვეულებებს, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სისტემებს, რა გარემოშიც ბავშვი იზრდება და ყალიბდება.

**ქრონოსისტემა** - იგულისხმება ის ცხოვრებისეული ცვილილებები, რომელთა პარალელურადაც უწევს მოზარდს განვითარება და რამაც შესაძლოა, მასზე გავლენა იქონიოს (Bronfenbrenner U. , 1979) (Shelton L. G., 2019)

ამ თეორიის თანახმად, ბულინგის გამომწვევი ფაქტორები სცდება ვიწროდ ბულერისა და მსხვერპლის ურთიერთობას და ისეთ დიდ სოციალურ კონტექსტს ითვალისწინებს, როგორცაა, კლასსა და სკოლაში არსებული გარემო, ოჯახი, სამეზობლო, საზოგადოება და სხვა. ამ სისტემებს შორის ინტერაქცია მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ურთიერთობაზე, რაც საბოლოოდ ქმნის ბულინგისთვის სასურველ ან, პირიქით, არახელსაყრელ გარემოს.

იმავე პოზიციას იზიარებენ ვალენსიის უნივერსიტეტის მკვლევრები, რომელთა განმარტებით, ბულინგის აღმოცენებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი „მიკროსისტემა“ (Postigo, Gonzalez, Montoya, & Ordonez, 2013). ამ სისტემაში ისინი უშუალო კონტექსტს გულისხმობენ, რაშიც მოზარდი იზრდება და რაც მის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს, კონტექსტში კი ოჯახური გარემო და ამ გარემოში დამყარებული ურთიერთობები მოიაზრება.

ბულინგის ახსნა ასევე ნაცადია ე.წ. **დაძაბულობის თეორიით** (General Strain Theory), რომლის თანახმადაც, ინდივიდები განიცდიან სხვადასხვა ტიპის დაძაბულობებს (გამოწვეულს წარუმატებლობით, მიზნის მიუღწევლობით და სხვა), რაც არის დევიაციურ ქცევებში მოზარდების ჩართვის წინაპირობა (Moonl, Morash, & McCluskey, 2012) (Agnew, 1992). რობერტ ეგნიუ გვთავაზობს იმ მდგომარეობების ჩამონათვალს, რომლებიც დაძაბულობის წინაპირობაა და რაც საბოლოოდ დევიაციურ ქცევაში გამოიხატება. ესენია: დასახული მიზნის მიღწევის შეუძლებლობა, საკუთარი ფიზიკური სივრცის არარსებობა, ოჯახის დაბალი შემოსავალი, კრიმინალურ გარემოსთან კავშირი, ფიზიკური თუ ემოციური ძალადობა, გენდერული თუ რასობრივი დისკრიმინაცია, მშობლების მიერ უარყოფა. სწორედ ასეთ სირთულეგამოვლილ მოზარდს მისი თანატოლები აღიქვამენ, როგორც პოტენციურ მსხვერპლს (Agnew, 1992). აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა მეტადაა დაკავშირებული

დელიკვენტურობასთან, ვიდრე სუფთად ბულინგთან, რადგან, მიჩნეულია, რომ მსგავსი სირთულეების განცდა მოზარდებში უმეტესად ხელს უწყობს დელიკვენტურობას / კრიმინალურ ქცევას (ალანია, 2017) და ეს რეალობა ნაკლებადაა გააზრებული ბულინგის კონტექსტში.

მორიგი თეორია, რომელიც საინტერესოდ ხსნის ბულინგს, არის **სოციალური კონტროლის თეორია** (Social Control Theory) ამ თეორიის თანახმად, ბულინგი და დელიკვენტურობა სოციალური კონტროლის მექანიზმით აიხსნება. კერძოდ, ის მოზარდები, რომლებსაც აქვთ მყარი პოზიტიური კავშირები საზოგადოებაში (მათ შორის, სასკოლო საზოგადოებაში), უფრო ნაკლები შანსია, იყვნენ ჩართულნი დელიკვენტურ ქცევებში. პოზიტიური კავშირები შეიძლება გამოხატული იყოს სკოლაში პოზიტიურ ურთიერთობებში კლასელებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან (Michael D. Wiatrowski, 1981) (Qureshi, 2016). ამ მიდგომით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როდესაც სკოლაში განვითარებულია კურიკულის მიღმა აქტივობები და მხარდაჭერილია მოზარდების ინდივიდუალური ინტერესები, შანსი, მოზარდი ჩაერთოს აგრესიულ ქცევაში, გაცილებით ნაკლებია. ამასთან, დაკვირვების თანახმად, როცა მოზარდს გააზრებული აქვს კარგი ქცევის ნორმები და ეს ნორმები მაგალითების სახით ეძლევა გარემოდან, ასეთი მოზარდი ნაკლებად ხდება ბულერი ან მსხვერპლი (Qureshi, 2016). ამრიგად, სოციალური კონტროლის თეორიით ბულინგის ახსნა უფრო პრევენციული ხასიათის სურათს გვაძლევს და ამ თეორიის საშუალებით ჩვენ ბულინგის პრევენციაზე უფრო შეგვიძლია საუბარი, ვიდრე მისი მექანიზმის ახსნაზე.

ბევრი თეორია ბულინგს განიხილავს, როგორც იარაღს სოციალური კაპიტალის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის. ამ მოსაზრებას იზიარებენ მკვლევრები ევანსი და სმუკოვსკი და ცდილობენ, ბულინგი გაიაზრონ **სოციალური კაპიტალისა და ორგანიზაციული კულტურის** თეორიების კრილში (Evans &

